

*ციური ახვლედიანი, მარინე კობეშავიძე*

*Tsiuri Akhvlediani, Marine Kobeshavidze*

*ესპანური ენის ფონეტიკა*

*(სალექციო კურსი)*

*Fonética del español*

*(Curso de lecciones)*

გამომცემლობა „მერანი“

თბილისი 2011

ესპანური ენა მიეკუთვნება ლათინური ენის საფუძველზე ჩამოყალიბებულ რომანულ ენათა ჯგუფს. ესპანურ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 380 მილიონი ადამიანი. ესპანური ენა წარმოადგენს ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყანათა უმეტესობის (მექსიკა, კოლუმბია, პერუ, ვენესუელა, არგენტინა და სხვ.) სახელმწიფო ენას. ბუნებრივია, რომ თითოეულ ამ ქვეყანაში, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი ისტორია, კულტურული და ეროვნული ტრადიციები, ესპანური ენა წარმოგვიდგება სხვადასხვა თავისებურებებით, რაც ვლინდება ენის ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში და, რასაკვირველია, მეტყველებაში, წარმოთქმაში. თვით ესპანეთის ტერიტორიაზეც კი, მის სხვადასხვა რეგიონში, წარმოთქმა შეიძლება არსებითად განსხვავებული იყოს. ნორმატიულ, სწორ წარმოთქმად ითვლება კასტილიის განათლებულ ხალხთა მეტყველება. წინამდებარე ნაშრომს ესპანური ენის კასტილიური ნორმის აღწერა უდევს საფუძველად.

ნაშრომი შესრულებულია სხელგანთქმული ლინგვისტების: ნავარო ტომასის, ანტონი კილისის, ხილი გაიას, მარტინეს სელდრანის, ტ. მაკაროვას, ხავიერ ფრიას კონდესა და სხვა გამოჩენილ ლინგვისტთა მიერ ჩატარებული, ესპანური ენის ფონეტიკის წყაროების სამეცნიერო კვლევათა მონაცემების მიხედვით.

*ციური ახვლედიანი  
მარინე კობეშავიძე*

*რედაქტორი: ფილოლოგიის დოქტორი მანანა ხოფერია*

*რეცენზენტი: ფილოლოგიის დოქტორი სოფიო ფეიქრიშვილი*

***ISBN 987-9941-9230-4-4***

# ქსანური ანბანი

## Alfabeto

ბეჭდური ასოები	ხელნაწერი ასოები	ასოს სახელწოდება	წაკითხვა
<b>A a</b>	<i>A a</i>	<i>a</i>	[a]
<b>B b</b>	<i>B b</i>	<i>be</i>	[be]
<b>C c</b>	<i>C c</i>	<i>ce</i>	[θe]
<b>Ch ch</b>	<i>Ch ch</i>	<i>che</i>	[çe]
<b>D d</b>	<i>D d</i>	<i>de</i>	[de]
<b>E e</b>	<i>E e</i>	<i>e</i>	[e]
<b>F f</b>	<i>F f</i>	<i>efe</i>	[ʼefe]
<b>G g</b>	<i>G g</i>	<i>ge</i>	[xe]
<b>H h</b>	<i>H h</i>	<i>hache</i>	[ʼaçe]
<b>I i</b>	<i>I i</i>	<i>i</i>	[i]
<b>J j</b>	<i>J j</i>	<i>jota</i>	[ʼxota]
<b>K k</b>	<i>K k</i>	<i>ka</i>	[ka]
<b>L l</b>	<i>L l</i>	<i>ele</i>	[ʼele]
<b>Ll ll</b>	<i>Ll ll</i>	<i>elle</i>	[ʼele][ʼeye]
<b>M m</b>	<i>M m</i>	<i>eme</i>	[ʼeme]
<b>N n</b>	<i>N n</i>	<i>ene</i>	[ʼene]
<b>Ñ ñ</b>	<i>Ñ ñ</i>	<i>eñe</i>	[ʼep e]
<b>O o</b>	<i>O o</i>	<i>o</i>	[o]
<b>P p</b>	<i>P p</i>	<i>pe</i>	[pe]
<b>Q q</b>	<i>Q q</i>	<i>ku</i>	[ku]
<b>R r</b>	<i>R r</i>	<i>ere</i>	[ʼere]
<b>S s</b>	<i>S s</i>	<i>ese</i>	[ʼese]
<b>rr</b>	<i>rr</i>	<i>erre</i>	[ʼer:e]
<b>T t</b>	<i>T t</i>	<i>te</i>	[te]
<b>U u</b>	<i>U u</i>	<i>u</i>	[u]
<b>V v</b>	<i>V v</i>	<i>uve</i>	[ʼuβe]
<b>X x</b>	<i>X x</i>	<i>equis</i>	[ʼekis]
<b>W w</b>	<i>Ww</i>	<i>uve doble</i>	[uve doble]
<b>Y y</b>	<i>Y y</i>	<i>i griega</i>	[i ʼgrjɛɣa]
<b>Z z</b>	<i>Z z</i>	<i>zeta, zeda</i>	[ʼθeða]

## ანბანი

### ასოთა წაკითხვის წესები

ასო და მისი სახელწოდება	ბგერა	ასოთა წაკითხვის წესები რა შემთხვევაში	მაგალითები
1	2	3	4
<b>A a</b> [a]	[a] ღია	ყოველთვის	<i>patata, mesa, casa</i>
<b>Bb</b> [be]	[b] _ ხშული	პაუზისა და n, m-ს შემდეგ	<i>bombón, un beso</i>
	[β]-ნაპრალოვანი	დანარჩენ შემთხვევებში	<i>hablar, el beso, la beca</i>
<b>Cc</b> [θ e]	[θ]	e, i –ს წინ	<i>cine, cenar</i>
	[k]	a, o, u-ს წინ	<i>cacao, casa, cuna, cosa</i>
	[ <sup>k</sup> ] _ სუსტი	ბოლომარცვლოვანი	<i>octavo, acto, octubre</i>
<b>Ch ch</b> [çe]	[ç]	მუდამ	<i>chico, chocolate</i>
<b>D d</b> [de]	[d] _ ხშული	პაუზისა და n, l - ს შემდეგ	<i>donde, el día, caldo</i>
	[ð] _ ნაპრალოვანი	დანარჩენ შემთხვევებში	<i>cada, todo, sentado</i>
	[ <sup>d</sup> ] _ შესუსტებული	ბოლომარცვლოვანი	<i>ciudad, Madrid, calidad, Usted</i>
<b>Ee</b> [e]	[e] _ დახურული	მუდამ	<i>mesa, cabeza</i>
<b>F fl</b> [efe]	[f]	მუდამ	<i>fumar, café</i>
<b>G g</b> [xe]	[x]	e, i-ს წინ	<i>gitano, gente</i>
	[g] _ ხშული	პაუზისა და n-ს შემდეგ	<i>tango, gato</i>
	[ɣ] _ ნაპრალოვანი	დანარჩენ შემთხვევებში	<i>hago, una gata</i>

<i>H h[ˈaçe]</i>	--	არასოდეს	<i>hacer, huevo</i>
<i>Ii[i]</i>	<i>[i]</i> – ხმოვანი, ძალიან დახურული	ღია მარცვალში	<i>salida, mimosa</i>
	<i>[i̠]</i> – ნახევართანხმოვანი	დიფთონგში ხმოვნის შემდეგ	<i>bailar, peñarse</i>
	<i>[j]</i> – ნახევართანხმოვანი	თანხმოვნის შემდეგ, პირველი ბგერა დიფთონგში	<i>piano, piel</i>
<i>J j[ˈx:ota]</i>	<i>[x:]</i> – უველარული	a, o, u-ს წინ	<i>jota, jardín</i>
	<i>[x]</i> – ველარული	e, i –ს წინ	<i>ejercicio</i>
<i>Kk [ka]</i>	<i>[k]</i>	მუდამ	<i>kiosko, kilómetro</i>
<i>Ll [ˈele]</i>	<i>[l]</i> – ალვეოლარული	ხმოვნის წინ	<i>lámpara, Lola</i>
	<i>[l̪]</i> – შესუსტებული	ბოლომარცვლოვანი	<i>sol, col, palco</i>
	<i>[ɫ]</i> – კარგავს სშვას	s, r-ს წინ	<i>el sol, salsa, alrededor</i>
	<i>[ll]</i> – დენტალიზებული	t, d – ს წინ	<i>alto, aldea, el día</i>
	<i>[ʎ]</i> – კბილთაშორისი	<i>[θ]</i> -ს წინ	<i>alzar, el cine</i>
	<i>[λ]</i> – პალატალური	<i>ch, y, ll</i> – ს წინ	<i>el llanto, el chico, el yate</i>
<i>Ll ll [ˈele][ˈeye]</i>	<i>[λ]</i> – გვერდითი ნაპრალოვანი	სიტყვის თავიდან დასრულებულში ღია ხმოვნების შორის	<i>callar, llanto, llamar</i>
	<i>[y]</i> – ბრტყელნაპრალოვანი	დახურულხმოვნებთან კონტექსტში	<i>billete, caballero</i>

<i>M m [ˈeme]</i>	<i>[n]</i>	სიტყვის ბოლო- კიდურში, პაუ- ზის წინ	<i>álbum, máximo</i>
	<i>[m]</i>	ყველა დანარჩენ შემთხვევაში	<i>mamá, mesa</i>
<i>Nn [ˈene]</i>	<i>[n]</i> – აღვეოლა- რული	ხმოვნის წინ	<i>nena, enano</i>
	<i>[ɲ]</i> – შესუსტებუ- ლი	ბოლომარცვლო- ვანი	<i>pan, comen</i>
	<i>[ɲ]</i> – დენტალიზე- ბული	t, d – ს წინ	<i>donde, diente</i>
	<i>[ɲ]</i> – კარგავს ხშვას	s, r-ს წინ <i>[θ]</i> -ს წინ	<i>manso, un sol, honra</i>
	<i>[ɲ]</i> – კბილთშორი- სი		<i>un zapato, once</i>
	<i>[ɲ]</i> – პალატალური	ch, y, ll –ს წინ	<i>mancha, un llan- to, un yate</i>
	<i>[ɲ]</i> – ველარული	[k g x] – ს წინ	<i>un col, tango, un gitano</i>
	<i>[m]</i> – წვეილბაგის- მიერი	p, b, v, m – ს წინ	<i>un pan, un be- so, tranvía, inmen- so</i>
<i>[m]</i> – კბილბაგის- მიერი	f-ს წინ	<i>enfermo</i>	
<i>Ññ [ˈeɲe]</i>	<i>[ɲ]</i> – პალატალური	მუდამ	<i>niño, mañana</i>
<i>O o [o]</i>	<i>[o]</i> – მომრგვალე- ბული, წინწამო- წვეული	მუდამ	<i>poco, como</i>
<i>P p [pe]</i>	<i>[p]</i> – დაჭიმული	ხმოვნის წინ	<i>papa, pepino</i>
	<i>[pʰ]</i> – შესუსტებული	ბოლომარცვლო- ვანი	<i>septiembre, óptimo</i>
<i>q[ku]</i>	<i>[k]</i>	შეერთებებში <i>qui, que, სადაც u</i>	<i>quinto, queso</i>

		არ წარმოითქმის	
<i>r</i> [ˈere]	[r:] _ მრავალმასვილიანი	სიტყვის თავკიდურში n, l, s-ს შემდეგ დანარჩენ	<i>rosa, Roma, Enrique, alrededor, israelí</i>
	[r] _ ერთმასვილიანი	შემთხვევებში	<i>tomar, parar, abrazar</i>
<i>rr</i> [ˈer:e]	[r:] - მრავალმასვილიანი	მუდამ	<i>carro, torre</i>
<i>Ss</i> [ˈese]	[s] _ ალვეოლარული, ყრუ	ხმოვნის წინ	<i>cosa, sopa, sos</i>
	[s̺] _ შესუსტებული	ბოლომარცვლოვანი	<i>pastilla, mosca</i>
	[s̺] _ გამჟღერებული	სონანტების წინ	<i>mismo, los días</i>
<i>Tt</i> [te]	დაჭიმული, ყრუ	ხმოვნის წინ	<i>patata, tomar</i>
	გამჟღერებული	სონანტების წინ	<i>atlas, atleta</i>
<i>Uu</i> [u]	[u] – მომრგვალებული, ძალიან წინ წამოწეული	თანხმოვნებს შორის	<i>fumar</i>
	[u̟] _ ნახევართანხმოვანი	ხმოვნის შემდეგ დიფთონგში	<i>aula, pausa</i>
	[w] – ნახევართანხმოვანი	პირველი ბგერა დიფთონგში	<i>cuarto, puerta</i>
	[w̟] _ წყვილბაგისმიერი, უკანანისმიერი ელფერით	პაუზის შემდეგ დიფთონგში	<i>huevo, huerto</i>
<i>Vv</i> [ˈuβe]	[b] _ ხშული	პაუზისა და n-ს შემდეგ	<i>vino, tranvía, veo</i>

	[β] – ნაპრალოვანი სონანტი	დანარჩენ შემთხვევებში	<i>unos vinos, los veo</i>
<i>Xx</i> [ˈeks]	[ks]	ხმოვანთშორისი	<i>examen, exacto</i>
	[ <sup>s</sup> ] – შესუსტებული	თანხმოვნების წინ	<i>texto, textil</i>
<i>Yy</i> [iˈɣrjeɣa]	[ý] – აფრიკატი	n, l, s-ს შემდეგ	<i>yo, el yate, es yate, inyección</i>
	[y] – ნაპრალოვანი სინანტი	ხმოვნებს შორის	<i>mayo, papá y Ana papá y mamá</i>
	[i̠] – ნახევარხმოვანი	დიფთონგში ხმოვნის შემდეგ	<i>aman y cuidan</i>
	[i] – ხმოვანი	თანხმოვნებს შორის	<i>escuchan y escriben</i>
	[j] – ნახევართანხმოვანი	პირველი ბგერა დიფთონგში	
<i>Zz</i> [ˈθeða]	[θ] – კბილთშორისი, ყრუ	მუდამ	<i>zapato, Zaragoza</i>
	[ <sup>θ</sup> ] – შესუსტებული	ბოლომარცვლოვანი	<i>capaz</i>
	[ð]	სონანტების წინ	<i>luz del día</i>

ესპანურ ენაში არსებობს ასევე ასო **W w** (*doble uve*), რომელიც იხმარება მხოლოდ უცხოური წარმოშობის სიტყვებში, მაგალითად: **Ricardo Wagner**.

## ქსპანური ენის ხმოვნები

ქსპანური ენის ბგერითი წყობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშანია ხმოვანთა ხმარების მაღალი სიხშირე; ქსპანური ენის მელოდირობა სწორედ ამითაა განპირობებული.

ქსპანური ენის ხმოვანთა სისტემა მარტივია; სულ 5 ფონემა<sup>1</sup>: [a], [i], [e], [o], [u]. ყველა ხმოვანი, პოზიციისდა მიუხედავად, ინარჩუნებს იმ ძირითად ნიშნებს, რაც მათ წარმოთქმას ახასიათებს იზოლირებულ მდგომარეობაში (mariposa, melocotón, merendar).

რასაკვირველია, ქსპანურ ენაში არსებობს ხმოვანთა წარმოთქმის ვარიანტებიც. განსაზღვრულ პოზიციებში, ისინი შეიძლება იყვნენ უფრო ღიები, უფრო დახურულები ან შესუსტებულები; მაგრამ ეს ცვლილებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ როგორც წესი, არ აღიქმება სმენით, ისინი მხოლოდ ფიქსირდება სპეციალური აკუსტიკური ტექნიკით. როგორც ესპანელი მკვლევარები *მენენდეს პიდალი და ტ. ნავარო ტომასი*<sup>2</sup> აღნიშნავენ, ქსპანური ენის განსაკუთრებული ფონეტიკური


---

<sup>1</sup> *ფონემა* – ეს არის ბგერა, რომელიც ფლობს აზრთავანმასხვაველობით ფუნქციას. ერთი ფონემის მეორეთი ჩანაცვლებით, იცვლება სიტყვის მნიშვნელობა. ასევე არსებობს ცნება „ფონემის ვარიანტი“, რომელიც არ უკავშირდება სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავებას; იგი ეხება მეტყველების გარეგან, საწარმოთქმო მხარეს. ვარიანტს ახასიათებს პოზიციური განპირობებულობა. შეიძლება ითქვას, რომ ფონემა განსაზღვრულ პოზიციაში განსაზღვრული ვარიანტით რეალიზდება; ასე, მაგალითად, ხმოვანი ბგერის წინ ფონემა [s] წარმოითქმის როგორც *ყრუ ბგერა* [s]: casa, seta; *მუდური ბგერის წინ კი* – როგორც *გამყვარებული* [s]: mismo, los días. წმინდა საწარმოთქმო თავალსზრისით, ფონემა – ეს არის ბგერა-იდეალი, ანუ ის ბგერითი ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად თავისუფლად და მოხერხებულად წარმოითქმის იზოლირებულ მდგომარეობაში. ფონემის ვარიანტთა წარმოთქმა კი, მათი პოზიციური განპირობებულობის გამო, არ არის მარტივი იმ სიტყვათა გარეშე, რომლებშიც ისინი რეალიზდებიან.

<sup>2</sup> T. Navarro Tomás, *Manual de pronunciación española*, Madrid, 1991.

ერთგვაროვნება ძირითადად გამოწვეულია ხმოვან ბგერათა მარტივი, ნათელი და მყარი სისტემით.

ესპანური ენის ხმოვანთა სისტემას წარმოგიდგენთ „ხმოვანთა სამკუთხედზე“:



ამ გადაბრუნებულ სამკუთხედზე, რომელიც პირის ღრუს სიმბოლოს წარმოადგენს, ხმოვნები [i] და [u] მდებარეობენ ზედა ჰორიზონტალურ ხაზზე და არიან დახურულები; ესენია მაღალი აწეულობის ხმოვნები. ხმოვნები [e] და [o] საშუალო აწეულობისანი არიან, ხმოვანი [a] კი, რომელიც ყველაზე ღიაა – დაბალი აწეულობისა. ამგვარად, ვერტიკალურად მოძრაობა, ანუ ენის გადაადგილება ზევით და ქვევით, განაპირობებს ხმოვნების მეტ ღიაობასა თუ დახურულობას. მეორეს მხრივ, ჰორიზონტალურად ენის გადაადგილების მიხედვით, ანუ წინ ან უკან, ასხვავებენ წინა რიგის ხმოვნებს, ანუ პალატალურებს – [i], [e] და უკანა რიგის ხმოვნებს, ანუ ველარურებს – [o], [u]. ხმოვანი [a], როგორც ეს სამკუთხედზე ჩანს, წარმოადგენს შუა რიგის ხმოვანს, მაგრამ განსაზღვრულ ფონეტიკურ კონტექსტში, ის შეიძლება წამრმოითქვას უფრო პალატალურად (mancha, baile) ან უფრო ველარულად (aula, alma).



## ესპანური ენის თანხმოვნები

ესპანურ ენაში 22 თანხმოვანია.

ესპანური ენის თანხმოვნები არ არიან ისეთი მდგრადი და ერთგვაროვანი, როგორც ხმოვნები. პოზიციისდა მიხედვით, ისინი განიცდიან მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ცვლილებებს. თუ 5 ესპანური ხმოვანი ფონემა გვაძლევს 5 სახესებით კონკრეტულ სამეტყველო ბგერას, 19 თანხმოვანი ფონემა წარმოთქმის 50 ვარიანტზე მეტს გვაძლევს, რომელთა უმეტესობა ადვილად აღიქმება სმენით; ასე მაგალითად, თანხმოვანი ფონემა [s] მეტყველებაში შეიძლება რეალიზდებოდეს ყრუ ბგერა [s]-დ-soso, შესუსტებულ ბგერა [ʃ] –დ – asco, გამჟღერებულ [ʒ] –დ-ista, კბილთშორის [ʃ] –დ-escena.

იმისათვის, რომ მივიღოთ თითოეული თანხმოვნის წარმოქმნის ყველაზე სრულყოფილი და ზუსტი სურათი, ნავარო ტომას<sup>1)</sup> მიხედვით, უნდა გავითვალისწინოთ:

- 1) *არტიკულაციის ადგილი* (ანუ პირის ღრუს ის ადგილი, სადაც ბგერა წარმოითქმის);
- 2) *არტიკულაციის ხერხი* (როგორ იწარმოება ბგერა: ორგანოთა ხშვის, ნაპრალის წარმოქმნის და ა. შ. საშუალებით);
- 3) *სახმო სიმების მონაწილეობა*.
- 4) *სასის ფარდის მონაწილეობა*.

*საარტიკულაციო ადგილის* მიხედვით თანხმოვნები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად:

- 1) *წყვილბავისმიერი ბგერები* (აქტიური ორგანოა – ქვედა ბაგე, პასიური – ზედა ბაგე) – [p], [b], [m];
- 2) *კბილბავისმიერები* (აქტიური ორგანო – ქვედა ბაგე, პასიური – ზედა კბილების ნაწიბური) – [f], [m];
- 3) *კბილთშორისები* (აქტიური ორგანო – ენის წვერი, პასიური – ზედა კბილების ნაწიბური) – [θ], [ð].
- 4) *კბილისმიერები* (აქტიური ორგანო – ენის წვერი, პასიური – ზედა კბილების შიდა ზედაპირი) – [t], [d].

5) ალვეოლარულები (აქტიური ორგანო – ენის წვერი<sup>3</sup>, პასიური – ალვეოლები) – [s], [r], [n];

6) პალატალურები (აქტიური ორგანო – ენის პრედორსალური<sup>4</sup> ნაწილი, პასიური – მაგარი სასა) – [ɲ], [ç], [ʝ]

7) ველარულები, ანუ უკანაენისმიერები (აქტიური ორგანო – ენის უკანა პოსტდორსალური ნაწილი, პასიური – რბილი სასა) – [k], [g].

---

<sup>3</sup> კბილთშორისებს, კბილისმიერებს და ალვეოლარულებს, აქტიური ორგანოს მონაწილეობის მიხედვით, „აპიკალურებსაც“ უწოდებენ. ტერმინი წარმოიშვა „ápice” – დან – „ენის წვერი”.

<sup>4</sup> Dorso de la lengua – ენის ზურგი.

**საარტიკულაციო ხერხის მიხედვით თანხმოვნები  
იყოფიან შემდეგ ჯგუფებად:**

1) *ხშულები* (აქტიურ და პასიურ ორგანოებს შორის სრული კონტაქტი, ხშვა) – [m] [p], [k];

2) *ნაპრალოვნები* (აქტიური და პასიური ორგანოების ურთიერთქმედებისას, მათ შორის წარმოიშვება ნაპრალი, რომელშიც ჩქამით გამოდის ჰაერი) – [f], [x]; ნაპრალის ფორმის მიხედვით, თანხმოვნები შეიძლება იყოს *ბრტყელნაპრალოვნები* – [θ], *მრგვალნაპრალოვნები* – [s] და *კვერდითნაპრალოვნები* – [l], [λ];

3) *აფრიკატები* – [y̟], [ç]; აფრიკატთა წარმოთქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველად ხორციელდება ორგანოებს შორის სრული კონტაქტი, შემდგომ კი ისინი ნარნარად განიხშვებიან, აძლევენ რა ჰაერს გასასვლელს და ხშვა გადადის ნაპრალში;

4) *მორთოლები* (ვიბრანტები) – [r], [rː]; ჰაერის ნაკადი წყდება სწრაფი ვიბრაციული მოძრაობებით, რომლებსაც ახორციელებს ენის წვერი; ვიბრაციათა რაოდენობის მიხედვით, მორთოლები შეიძლება იყოს *ერთმახვილიანები* (ერთი ვიბრაცია) – [r] და *მრავალმახვილიანები* (მრავალი ვიბრაცია) – [rː].

რაც შეეხება *სახმო სიმების მონაწილეობას*, ნავარო ტომასოს მიხედვით, თანხმოვანი ბგერები იყოფა *სონანტებად*<sup>5</sup> – [r], *მჟღერებად* [b] და *ყრუებად* [f].

*სასის ფარდი მონაწილეობის მიხედვით*, თანხმოვნები შეიძლება იყოს *პირისმიერები* ანუ *ორალურები* (მათი უმეტესობა) და *ცხვირისმიერები* ანუ *ნაზალურები* (ფაქტიურად ესენია ფონემები [m], [m] და მათი ვარიანტები). თუ თანხმოვანი ბგერის წარმოთქმისას სასის ფარდა აწეულია და ხურავს

---

<sup>5</sup> *სონანტები* – მჟღერი ბგერებია, რომლებიც წარმოითქმის ხმის განსაკუთრებული მონაწილეობით, თიქმის ჩქამის გარეშე.

ცხვირის ღრუში გასასვლელ არხს, მაშინ ჰაერი გამოდის მხოლოდ პირიდან და რეალიზდება პირისმიერი ანუ ორალური ბგერა; ხოლო თუ სასის ფარდა დაშვებულია და ჰაერი ცხვირის ღრუდანაც გამოდის, ბგერა ცხვირისმიერი ანუ ნაზალურია.

ამგვარად, ესპანური თანხმოვანი ბგერები, **სართიკულაციო ადგილის მიხედვით**, იყოფიან წვეილბავისმიერებად, კბილბავისმიერებად, კბილთშორისებად, კბილისმიერებად, ალვეოლარულებად, პალატალურებად და ველარულებად; **სართიკულაციო ხერხის მიხედვით**<sup>6</sup> – ხშულებად, ნაპრალოვნებად (ბრტყელი, მრგვალი და გვერდითი), აფრიკატებად და მთრთოლებად (ვიბრანტებად); **სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით** – სონანტებად, მჟღერებად და ყრუებად; **სასის ფარდის მონაწილეობის მიხედვით** – პირისმიერებად (ორალურებად) და ცხვირისმიერებად (ნაზალურებად).

---

<sup>6</sup> დამატებით მახასიათებელს წარმოადგენს ენის იმ ნაწილის მითითება, რომელიც მონაწილეობას იღებს თანხმოვნის არტიკულაციაში; მაგალითად, კბილისმიერი, წინაენისმიერი, ანუ აპიკალური.

## ძირითადი კურსი

(ასოები, ფონემები-ბგერები, ლექსიკა, ფონეტიკური სავარჯიშოები, ლექსიკურ-გრამტიკული სავარჯიშოები)

### ლექცია I ხმოვნები

ასოები: A a [a]; P p [pe], M m [ʼeme]

ფონემები: [a] [p] [m]

ბგერები: [a] [p] [m]

[a]- დაბალი აწეულობის ხმოვანი, შუა რიგისა, ღია ბგერა, უმახვილო პოზიციაში არ რედუცირდება, წარმოითქმის თითქმის ისევე მკაფიოდ, როგორც მახვილიან მარცვალში – *patata*, *manada*.

[p]- წყვილბაგისმიერი თანხმოვანი, ხშული, ყრუ, ორალური – *pin*.

[m]- წყვილბაგისმიერი თანხმოვანი, ხშული, სონანტი, ცხვირისმიერი – *mapa*.

### ლექსიკა:

papá, m – მამა

mamá, f – დედა

ama – III პ. მხ. რ – ზმნა amar– სიყვარული.

### წესი:

ესპანურ ენაში, სიტყვათა უმეტესობა წარმოითქმის მახვილით ბოლო მარცვალზე (*comer*, *capital*, *ciudad*). თუ სიტყვა ხმოვანზე, **n** –ზე ან **s**- ზე ბოლოვდება, მაშინ მახვილი ბოლოსწინა მარცვალზეა (*mesa*, *comer*, *parques*). იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა ტრადიციულად (ისტორიულად) წარმოითქმის არაწესისამებრ, მახვილი აღინიშნება დაწერილობაში (გრაფიკული მახვილი): *lápiz*, *régimen*, *número*, *canción*; ასევე ხდება, თუ ბოლოდან მესამე ან მეოთხე მარცვალია მახვილიანი (*lámpara*, *diciéndomelo*).

## მახვილი – Acento

1. სიტყვებს, რომლებიც ხმოვანზე, ასევე „n” ან „s” თანხმოვნებზე ბოლოვდებიან, ლოგიკური მახვილი ეცემა ბოლოდან მეორე მარცვალზე (და არა ხმოვანზე), მაგალითად: *es-cu-é-la*, *in-sti-tú-to*, *Cár-men*, *Mer-cé-des*.

2. სიტყვებს, რომლებიც ბოლოვდება თანხმოვნებზე, „n” და „s”-ს გარდა, ლოგიკურ მახვილი ხვდება ბოლო მარცვალზე: *fes-ti-vál*, *cla-vél*, *pen-sár*.

3. ამ წესებიდან ყველა გამონაკლისი აღინიშნება ორთოგრაფიული მახვილის ნიშნით შესაბამის მარცვალზე: *mé-di-co*, *ú-ni-co*, *mú-si-ca*, *a-zú-car*.

4. მახვილი დაესმის სიტყვებს, რომელთაც ერთნაირი დაწერილობა აქვთ, მაგრამ მახვილი ცვლის მათ შინაარსს: *si* – დიას – *sí* – თუ; *tú* – შენ – *tu* – შენი; *él* – ის – *el* – არტიკლი; *más* – მეტი – *mas* – მაგრამ.

5. როდესაც საქმე ეხება დიფთონგს და ლოგიკური მახვილი ეცემა სუსტ ხმოვანს, აუცილებელია სუსტ ხმოვანზე ორთოგრაფიული მახვილის დასმა: *Ma-ria*, *geo-gra-fía*.

### ფონეტიკური სავარჯიშოები:

[*ma - pa - ma - pa - ma - pa*]  
[’*ama* †] [*ma*’*ma* †] [*pa*’*pa* †]

სიტყვის მარცვლებად სწორად დაყოფის კონტროლის მიზნით, ტრანსკრიფციაში<sup>7</sup> მახვილის ნიშანი დაისმის მახვილიანი

---

<sup>7</sup> **ტრანსკრიფცია** – ეს არის სამეცნიერო-ლინგვისტური მიზნებით მეტყველების ჩაწერის სპეციალური ხერხი; იგი ასახავს ბგერითი მეტყველების ყველა ნიუანსს, პაუზების, მახვილებისა და ინტონაციის ჩათვლით, ანუ გვიჩვენებს როგორ უნდა წწავიკითხოთ ტექსტი სწორად.

მარცვლის წინ. აუცილებელია განვასხვავოთ სიტყვის მახვილი გაბმულ მეტყველებაში სიტყვათა მახვილისაგან (ფრაზული მახვილისაგან), როდესაც სხვა სიტყვაფორმათა ფონზე, როგორც წესი, გამოვყოფთ ანუ აქცენტს ვაკეთებთ მნიშვნელოვან მეტყველების ნაწილზე (ზმნურ ფორმებზე, არსებით ან ზედსართავ სახელებზე, ზმნიზელებზე და ა.შ).

ლექსიკურ-ფონეტიკური სავარჯიშოები:

1. *Mamá ama a su hijo.*  
[Ma 'má 'ama a su hi 'jo ↓].
  
2. ¿*Ama mamá a su hijo?*  
↗ ↘  
[ 'ama ma 'má a su hi 'jo].

**ხმოვნები**

ესპანურ ენაში არსებობს 5 ხმოვანი. [i], [e], [a], [o], [u]. [a], [e], [o] – ხმოვნებს ძლიერ ხმოვნებს უწოდებენ, [u], [i] ხმოვნებს – კი სუსტს.

**ხმოვანი [i]** (ასო **I, i**) გამოითქმის როგორც ქართული „ი“, მაგალითად, ირმა, ირემი: pino, pipa.

**ხმოვანი [e]** (ასო **E, e**) გამოითქმის დაახლოებით ისევე, როგორც ქართული „ე“, მაგალითად, ერბო, ეკლესია: eme, pepe, pena.

**ხმოვანი [a]** (ასო **A, a**) გამოითქმის დაახლოებით ისევე, როგორც ქართული „ა“, მაგალითად, ასი, აქლემი: alma, padre.

**ხმოვანი [o]** (ასო **O, o**) გამოითქმის დაახლოებით ისევე, როგორც ქართული „ო“, მაგალითად, მორი, მოკლე: mono, mano.

**ზმოვანი [u]** (ასო **U, u**) გამოითქმის დაახლოებით ისევე, როგორც ქართული „უ“, მაგალითად, უთო, ურემი: uno, tu, cuna.

### თანზმოვნები

**თანზმოვანი [p]** (ასო **P, p – pe**) ქართული „პ“ ასოს ანალოგიურად გამოითქმის, მაგალითად, პეტრე, პატრონი: Pedro, padre.

**თანზმოვანი [m]** (ასო **M, m – eme**) ქართული „მ“ ასოს ანალოგიურად გამოითქმის, მაგალითად, მარტი,; eme, memo.

**თანზმოვანი [f]** (ასო **F, f – efe**) რუსული ასო „ფ“-ს ანალოგიურად გამოითქმის, მაგალითად, фильм,; fama, familia.

**თანზმოვანი [t]** (ასო **T, t – te**) ქართული „ტ“ ასოს ანალოგიურად გამოითქმის, მაგალითად, ტოტი, პატრონი: timbre, tallo, tema.

**თანზმოვანი [n]** (ასო **N, n – ene**) ქართული „ნ“ ასოს ანალოგიურად გამოითქმის, მაგალითად, ნისლი, ნალი: nombre, nata.

**თანზმოვანი [k]** (ასო **K, k – ka**) ქართული „კ“ ასოს ანალოგიურია, მაგრამ წერის დროს გამოიხატება სამი ხერხის მეშვეობით:

**წესი:**

**C c**  $\implies$  **a, u, o**-ს და თანზმოვნების წინ იკითხება როგორც „კ“: **cuna, cama, como.**

**C**  $\implies$  **i, e** –ს წინ იკითხება როგორც კბილისმიერი „ს“ ანუ „თ“ (ინგლისური „th“), მაგალითად: **i – cine, e – cena.**

**წესი:**

ასო **G** ხმოვნებას **a, u, o** და თანზმოვნების წინ იკითხება როგორც ქართული „გ“, მაგალითად: **gota, gusano, gabán;**

*ხოლო e, i ხმოვნების წინ კი, როგორც ქართული "ხ", მ ლითად: gitano, gente.*

\* „*cigüeña*” (წერო) – ამ შემთხვევაში „*ñ*” იკითხება როგორც ქართული „უ” და ეს ბგერა არ არის ყრუ, როგორც სხვა შემთხვევებში.

**K k** – მხოლოდ უცხოური წარმოშობის სიტყვებში იხმარება.

**თანხმოვანი [b]** (ასო **B, b** – *be*; **V, v** – *uve*) ქართული „ბ” ასოს ანალოგიურია, მაგალითად, ბალი, ბატკანი: *bala, boca*. **V, v** – *uve* განსხვავდება **[b]** ბგერისგან იმით, რომ მისი არტიკულაციის დროს ტუჩები ბოლომდე კი არ იკვრება, არამედ შუაში წარმოიქმნება ნაპრალი (ხვრელი), რომლიდანაც გამოდის ჰაერის ნაკადი, მაგალითად: *ave, vaca, ventana*.

**თანხმოვანი [l]** (ასო **L, l** – *ele*). მისი არტიკულაციის დროს ენის წვერი ედება ზედა კბილებს; ლოლა, ლილა, ასევე იკითხება ესპანურად, როგორც ქართულად: *Lola, mal, papel*.

**თანხმოვანი [s]** (ასო **S, s** – *ese*) ეს თანხმოვანი ქართული ბგერისგან განსხვავებით უფრო ძლიერია და მისი გამოთქმისას ენის წვერი ებჯინება ზედა კბილებს: *casa, solo, sosa, los* სიტყვის ბოლოს **[s]** ბგერა უფრო სუსტია: *mes, mis mas*.

**თანხმოვანი [r]** (ასო **R, r** – *ere*) გამოითქმის ისევე, როგორც ქართული თანხმოვანი „რ”. ეს თანხმოვანი არასოდეს არ გვხვდება ისეთი თანხმოვნების შემდეგ, როგორებიცაა: **[n], [l], [s]**: *puro, primero, rabia, ritmo*.

**თანხმოვანი [h]** (ასო **H, h** – *hache*) ეს თანხმოვანი ესპანურ ენაში ყოველთვის ყრუა და არასოდეს არ აღნიშნავს არანაირ ბგერას: *hora, hambre, harina, ahora*.

**თანხმოვანი [d]** (ასობგერა **D, d** – *de*) ქართული ასო „დ”-ს ანალოგიურად ჟღერს, მაგალითად: დაფა: *donde, día*. ბგერა **[d]** სიტყვის ბოლოს და განსაკუთრებით პაუზის წინ, ასევე ისეთ სიტყვებში, რომლებიც ბოლოვდებიან *-ado*-ზე, გამოითქმის

უფრო სუსტად და რბილად: *libertad, Madrid, diputado, hablad, usted*. სასაუბრო ენაში სიტყვებში *Madrid, usted* ბოლო [d] საერთოდ არ გამოითქმის.

**თანხმოვანი** [r] (ასო *R, r; rr -erre*) ორი *rr* შემთხვევაში უფრო ძლიერ გამოითქმის. ერთი *r* კი ჩვეულებრივ, როგორც ქართული ასო „რ“. ამ ბგერის არასწორმა გამოთქმამ შესაძლოა სიტყვას შეუცვალოს მნიშვნელობა: *pero* – მაგრამ, *perro* – ძაღლი, *parra* – ყურძნის მტევანი, *para* – თვის, *carro* – საზიდავი, *caro* – ძვირი.

**თანხმოვანი** [ñ] (ასო *Ñ, ñ - eñe*) ანალოგიური ბგერა ქართულ ენაში არ არსებობს. ეს ასობგერა შეიძლება შევადაროთ რუსულ რბილ ასოს „*НБ*“. მისი არტიკულაციის დროს ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს და ენის ზურგი სასას ებჯინება: *paño, puño, mañana*.

**თანხმოვანი** [ll] (ასო *Ll, ll - elle*) ანალოგიური ბგერა ქართულ ენაში არ მოიპოვება. ის შეიძლება შევადაროთ რუსულ ასოს, როგორცაა, მაგალითად: *lle* – შეიძლება შევადაროთ რუსულ „*л*“ ს, *llu* – „*лю*“, *llo* – „*л*“, *lla* – „*я*“. მაგალითად: *lluvia, llover, llama*.

**თანხმოვანი** [c] (ასოთშეთანხმება *Ch, ch - che*). ეს ასობგერა ქართულ ენაში ასო „*ჩ*“ ს ანალოგიურია, მაგალითად : *ჩანთა, ჩოგანი; chico, mucho*.

**თანხმოვანი** [s] მჟღერდება თანხმოვნების წინ.

**თანხმოვნები** [θ] (*C, c - ce, Z, z - zeta, zeda*) ქართულ ენაში ანალოგიური ბგერა არ არსებობს. მისი არტიკულაციის დროს ენა მოექცევა კბილებს შორის. ზედა კბილებსა და ენის შორის რჩება ნაპრაღი, საიდანაც ჰაერის ნაკადი გამოდის. *Z, z* ყოველთვის გამოითქმის როგორც [θ], მსგავსია ინგლისური „*Th*“- *θ*-ს.

**ხმოვანი** [y] (*y* ასო – *I griega*) იკითხება ქართული „ი“ – ს მსგავსად. არგენტინაში და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებში ეს ასო ქართული „ჟ“-ს მსგავსად გამოითქმის.

**თანხმოვანი** [გ] (ასო G,გ – ge). ეს ბგერა უკანაენისმიერია, ხშული, მზღერი, სუსტი დაჭიმულობის ბგერაა. (მისი არტიკულაციის დროს ენის უკანა ნაწილი მთლიანად სასას არ ეხება).

**ზოგიერთი შესანური ბგერების გამოთქმა**

<i>B/V</i>	გამოითქმის როგორც ქართული "გ"	<i>bienvenida, vestido, vaca, balón</i>
<i>LL/Y</i>	გამოითქმის როგორც რუსული я, е, ю, ё	<i>llave, llevar, llorar, lluvia, ya, ayer, yuca</i>
<i>C + e, i</i> <i>Z + a, o, u</i>	გამოითქმის როგორც კბილისმიერი `s` ანუ `θ` ანუ ინგლისური `th`	<i>céntimo, cielo, cena, zapato, zorro, zumo</i>
<i>J + a, o, u, e, i</i> <i>G + e, i</i>	გამოითქმის როგორც ქართული "ჯ"	<i>jamón, jarra, jefe, jirafa, joven, general, gente, girasol, gitano</i>
<i>G + a, o, u</i> <i>Gu + e, i</i>	გამოითქმის როგორც ქართული "გ"	<i>gato, guerra, guitarra, gordo, guante</i>
<i>C + a, o, u</i> <i>Qu + e, i</i> <i>K + a, e, u, i,</i> <i>o</i>	გამოითქმის როგორც ქართული "კ"	<i>casa, cosa, cuchara, cucaracha, queso, quinto, kárate, kilómetro, koala</i>

## ლექსია II

**ასოები:** E e [e]; I i [i]; O o [o]; Uu [u]; C c [θe]; K k [ka]; Ff [ʼefe] Qq [ku]

**ფონემები:** /e/ /i/ /o/ /u/ /k/ /f/

**ბგერები:** [e] [i][o] [u][k] [f]

[e] – წინა რიგის ხმოვანი, საშუალო აწეულობისა, დახურული – pena

[i] – წინა რიგის ხმოვანი, მაღალი აწეულობის, ძალიან დახურული – pino, fino, Pirineos.

[o] – უკანა რიგის ხმოვანი, საშუალო აწეულობისა, მომრგვალებული, წინ წამოწეული – poco, loco, como, melocotón.

[u] – უკანა რიგის ხმოვანი, მაღალი აწეულობისა, მომრგვალებული, ძალიან წინ წამოწეული – fumo, humo, cuna.

[k] – უკანაენისმიერი თანხმოვანი, ხშული, ყრუ, ორალური – capa, mapa, cama, casa, quemo, química, kilo.

[f] – თანხმოვანი, კბილბაგისმიერი, ბრტყელნაპრალოვანი, ყრუ, ორალური – fama, flor, fiebre.

### ლექსიკა:

amo <sub>v</sub> – I პ. მხ.რ – ზმნა amar – სიყვარული  
como <sub>v</sub> – I პ. მხ.რ – ზმნა comer – ჭამა  
come <sub>v</sub> – III პ. მხ.რ – ზმნა comer – ჭამა  
fumo <sub>v</sub> – I პ. მხ.რ – ზმნა fumar – მოწევა  
fuma <sub>v</sub> – III პ. მხ. რ – ზმნა fumar – მოწევა  
peque <sub>m, f</sub> – პატარა ბავშვი  
Pepe <sub>N</sub> – პეპე, კნინობითი ფორმა სახელი Jose-დან  
feo <sub>adjv</sub> – უშნო (მამრ. სქ)  
fea <sub>adj</sub> – უშნო (მდედრ.სქ)  
mi <sub>adj</sub> – ჩემი (კუთვნილებითი ზედსართავი სახელის შემოკლებული ფორმა, მამარ. სქ)

mío *adj* – ჩემი (კუთვნილებითი ზედსართავი სახელის შემოკლებული ფორმა, მდედრ. სქ)

mía *adj* – (კუთვნილებითი ზედსართავი სახელის შემოკლებული ფორმა, მდედრ. სქ, სრული ფორმა)

aquí *adv* – აქ

ahí *adv* – იქ (უფრო მოშორებით)

poco *adv* – ცოტა

me *pron* – პირის ნაცვალსახელი პირდაპირი დამატების როლში – მე

como *conj* – როგორ (შედარება)

¿cómo? *pron* – როგორ? (კითხვითი პირის ნაცვალსახელი)

qué *pron* – როგორი! (ძახილის ფორმა)

y *conj* – და

### ფონეტიკური სავარჯიშოები.

[ka-ke-ki-ko-ku] [fa-fe-fi-fo-fu]

[ka \_fa] [ke \_fe] [ki \_fi] [ko \_fo] [ku \_fu]

### ლიქსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები:

I. Amo a papá. [ʼa mo a pa'pa ↓].

Amo a mamá. [ʼa mo a ma'ma ↓].

Amo a Pepe. [ʼa mo a 'pepe ↓].

Amo a peque. [ʼa mo a 'peke ↓].

კომენტარი: ხმოვნების გადაბმული წაკითხვა სიტყვების შეჯახების ადგილას.

II. Papá me ama. [pa'pa me ama ↓].

Amo a mamá. [ʼpepe me ama ↓].

Amo a Pepe. [ma'ma me'ama↓].

Amo a peque. [peque me'ama↓].

მიაქციეთ ყურადღება ჩამონათვალის ინტონაციას

III. Mi mamá, mi papá, mi Pepe, mi peque.

[mi ma'ma | mi pa'pa | mi 'pepe | mi 'peke↓].

Mi mamá, mi papá, mi Pepe y mi peque.

[mi ma'ma | mi pa'pa | mi 'pepe | imi 'peke↓].

**კომენტარი:** ჩამონათვალის ბოლო წევრის წინ, რომელსაც ახლავს კავშირი y, ტონი მაღლდება.

IV. ¡Qué mamá! [ke ma'ma]

¡Qué pa'pa! [ke pa'pa]

¡Qué feo! [ke 'feo]

¡Qué fea! [ke 'fea]

V. Como poco. ['komo 'poko↓].

Fumo poco. ['fumo 'poko↓].

Como poco y fumo poco. ['komo 'poko | i 'fumo 'poko↓].

Fumo poco y como poco. ['fumo 'poko | i 'komo 'poko↓].

VI. ¿Cómo fuma papá? – Fuma poco.

↗  
[ˈkomo ˈfuma paˈpa ↓] [ˈfumo ˈpoko ↓].

¿Cómo come peque? – Como poco.

↗  
[ˈkomo ˈkome ˈpeke ↓] [ˈkomo ˈpoko ↓].

### ლექცია III

**ასო:** S s [ʼese]

**ფონემა:** /s/

**ბგერები:** [s] [ʰ] [ʷ]

სხვადასხვა ფონეტიკური გარემოცვისდა მიხედვით, ეს ფონემა /s/ მეტყველებაში რეალიზდება სხვადასხვა ბგერითი ელფერებით ანუ ვარიანტებით.

[s] – თანხმოვანი, ალვეოლარული (წინაენისმიერი), მრგვალნაპრალოვანი, ყრუ, ორალურილი; **რეალიზდება ხმოვნისწინა პოზიციაში** – sapo, solo, sopa.

[ʰ] – თანხმოვანი, იმავე მახასიათებლებით რითაც [s], მაგრამ ნაკლებად გამოხატულით, რადგან ეს ბგერა [ʰ] **რეალიზდება მარცვლის ან სიტყვის ბოლოში პაუზის წინ**, იგი შესუსტებულია – es, mes, quesos, meses, festival, aspa.

[ʷ] – თანხმოვანი, მარცვლისდამასრულებელი, შესუსტებული, გამჟღერებული, არტიკულირდება სონანტების წინა პოზიციაში – isla, mismo, no es mío.

#### **წესი:**

*ესპანურ ენაში ნებისმიერი მარცვლისდამასრულებელი თანხმოვანი წარმოითქმის შესუსტებულად; და პირიქით: თანხმოვანი, რომელიც იწყებს მარცვალს, განსაკუთრებით ხმოვანი ბგერის წინა პოზიციაში, წარმოადგენს ყველაზე მეტად მდგრადს და ამიტომაც წარმოითქმის ძალიან მკაფიოდ. ეს არის თანხმოვანი ფონემის ძირითადი ვარიანტი.*

*მარცვლისდამასრულებელ თანხმოვანთა წარმოთქმაში შესუსტების მოვლენა წარმოადგენს იმ მრავალრიცხოვან ასიმილაციათა (მიმსგავსებათა) მიზეზს, რისკენაც მიდრეკილია ეს თანხმოვანი მოძღვენო თანხმოვანი ბგერის მიმართ. ესპანურ ენას ახასიათებს ე. წ. „რეგრესული ასიმილაცია“, რაც ნიშნავს მოძღვენო ბგერის გავლენას, რომელიც უფრო მდგრადია წარმოთქმისას, ვიდრე წინამავალი ბგერა.*

*იმავდროულად, რეგრესული ასიმილაცია შეიძლება განხორციელდეს ბგერის წარმოქმნის ადგილის მიხედვით, ბგერის წარმოქმნის ხერხის*

**მიხედვით და სახმო სიმების მონაწილეობისდა მიხედვით.** ზოგჯერ იგი რეალიზდება ერთბაშად ორი პირველი ნიშნის მიხედვით.

ასიმილაციის მაგალითი: მარცვლისდამასრულებელი [s] სონანტი თანხმოვნების წინ მუდგდება და წარმოითქმის როგორც [z], ანუ ასიმილირდება მომდევნო ბგერასთან სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით: mismo [mi<sup>z</sup> mo], las mesas [la<sup>z</sup> mesa<sup>s</sup>]; es mi mesa [e<sup>z</sup> mi' me<sup>s</sup> ɔ].

### ლექსიკა:

es<sub>v</sub> – III პ. მხ.რ

oso<sub>m</sub> – დათვი

sopa<sub>f</sub> – სუპი

esposo<sub>m</sub> – მეუღლე

esposa<sub>f</sub> – მეუღლე

mapa<sub>m</sub> – რუკა (გეოგრაფიული, ისტორიული)

casa<sub>f</sub> – სახლი

cosa<sub>f</sub> – ნივთი

piso<sub>m</sub> – ბინა, სართული

mesa<sub>f</sub> – მაგიდა

queso<sub>m</sub> – ყველი

cama<sub>f</sub> – საწოლი

eso – ეს (ჩვენებითი ნაცვალსახელი)

soso<sub>adj</sub> – უმარილო

ese<sub>adj</sub> – ის (ჩვენებითი ნაცვალსახელი, მამრ.)

esa<sub>adj</sub> – ის (ჩვენებითი ნაცვალსახელი, მდედრ)

su<sub>adj</sub> – მისი (კუთვნილებითი ნაცვალსახელი)

más<sub>adv</sub> – უფრო მეტი, ძლიერ

sí<sub>part</sub> – დადადებითი ფორმა – დიას

### ფონეტიკური საგარჯიშოები:

[sa-se-si-so-su] [sa - sa] [se - se] [si - si]

[so - so] [sa-so] [su - su] [se-si]

↗ ↗ ↗  
[ˈosolˈoso<sup>s</sup> ɔ] [ˈsosalˈsoso<sup>s</sup> ɔ] [ˈkosalˈkosa<sup>s</sup> ɔ]

[ˈosa|ˈosaˑ] [ˈkasa|ˈkasaˑ] [ˈmesa|ˈmesaˑ]

[ˈoso|ˈosaˑ] [ˈpiso|ˈpisoˑ] [ˈmapa|ˈmapaˑ]

[ˈesa|ˈesaˑ] [ˈsu|ˈsuˑ] [ˈesaʒ|ˈmesaˑ]

[ˈesa|ˈesoˑ] [ˈesoˑ|ˈpisoˑ] [ˈesoʒ|ˈmapaˑ]

**ლიქსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები:**

1. Mi piso, mi queso, mi casa, mi mesa, mi cosa.  
Su piso, su queso, su casa, su mesa, su cosa.
2. Mis pisos, mis quesos, mis casas, mis mesas, mis cosas.  
Sus pisos, sus quesos, sus casas, sus mesas, sus cosas.

\* ყურადღება მიაქციეთ ზელსართავის სახელის შეთანხმებას რიცხვსა და სქესი.

3. mi piso – mis pisos  
mi queso – mis quesos  
mi casa – mis casas  
mi mesa – mis mesas  
mi cosa – mis cosas  
su piso – sus pisos  
su queso – sus quesos  
su casa – sus casas  
su mesa – sus mesas  
su cosa – sus cosas

4. Ese piso, ese queso, ese oso, ese esposo, ese mapa.  
Esa cosa, esa casa, esa osa, esa esposa, esa mesa.

5. Esos pisos, esos quesos, esos osos, esos esposos, esos mapas

Esas casas, esas cosas, esas osas, esas esposas, esas mesas.

6. ese piso – esos pisos

ese queso – esos quesos

ese oso – esos osos

ese esposo – esos esposos

ese mapa – esos mapas

esa cosa – esas cosas

esa casa – esas casas

esa osa – esas osas

esa esposa – esas esposas

esa mesa – esas mesas

7. Esa mesa es mía.

Esa casa es mía.

Esa sopa es mía.

Esa cosa es mía.

Ese piso es mío.

Ese queso es mío.

Ese mapa es mío.

Ese oso es mío.

8. ¿Qué es eso? – Es mi mesa.

Es mi casa.

Es mi cosa (queso, piso, libro, cama, mapa).

*დავალება: გააკეთეთ იგივე სავარჯიშო და შეცვალეთ mi su-ზე.*

მაგალითი: ¿Qué es eso? – Es su mesa.

Es su casa.

9. ¿Cómo es su mesa? – Su mesa es fea.  
¿Cómo es su casa? – Su casa es fea.  
¿Cómo es su cosa? – Su cosa es fea.  
¿Cómo es su esposa? – Su esposa es fea.  
¿Cómo es su cama? – Su cama es fea.

¿Cómo es su piso? – Su piso es feo.  
¿Cómo es su oso? – Su oso es feo.  
¿Cómo es su esposo? – Su esposo es feo.  
¿Cómo es su queso? – Su queso es feo.

10. ¿Qué es eso? – Es una mesa.  
¿Cómo es una mesa? – Su mesa es fea.

*დავალება: დაამუშავეთ დიალოგი, არსებითი სახელის სქესის შეცვლის მეშვეობით.*

11. ¿Es feo su oso? – Sí, su oso es feo. Sí, es feo.  
¿Es feo su piso? – Sí, su piso es feo. Sí, es feo.  
¿Es feo su esposo? – Sí, su esposo es feo, Sí, es feo.

12. ¿Es fea su mesa? – Sí, su mesa es fea. Sí, es fea.

*დავალება: შეადგინეთ მსგავსი დიალოგი.*

13. ¿Es feo ese oso? – Sí, es feo.  
¿Es feo ese piso? – Sí, es feo.  
¿Es feo ese esposo? – Sí, es feo.

14. ¿Es feo esa mesa? – Sí, es fea.  
¿Es feo esa casa? – Sí, es fea.  
¿Es feo esa esposa? – Sí, es fea.

15. ¿Qué feo es ese oso!

¡Qué feo es ese esposo!  
¡Qué fea es esa casa!  
¡Qué fea es esa esposa!

¡Qué oso más feo!  
¡Qué esposo más feo!  
¡Qué casa más fea!  
¡Qué esposa más fea!  
¡Qué cosa más fea!

## ლექცია IV

ასოები: N n [ˈene]; I i [i], Y y [iˈɾjeɣa]

ფონემები: /n//i/

ბგერები: [n] [n̠] [n̥] [m] [m̠] [ɲ]

[n] – თანხმოვანი, ალვეოლარული (წინაენისმიერი, ანუ აპიკალური<sup>8</sup>), ხშული, სონანტი, ცხვირისმიერი; რეალიზდება ხმოვანი ბგერის წინ – nena, no, mono, cuna.

[n̠] – თანხმოვანი, შესუსტებული, მარცვლისდამასრულებელი – pan, sartén.

[m] – თანხმოვანი, წვეილბაგისმიერი, ხშული, სონანტი, ცხვირისმიერი; რეალიზდება წვეილბაგისმიერი ბგერების წინ, მაგ. [m]–სა და [p]<sup>9</sup>–ს წინ – un mono, inmenso, un poco, un pino.

[n̥] – თანხმოვანი, რეალიზდება ბგერა [s]–ს წინ, კარგავს ხშვას<sup>10</sup> – inmenso, manso, un saco.

---

<sup>8</sup> ენის მონაწილეობა თანხმოვანთა წარმოქმნაში – ეს არის მათი დამატებითი, დამაზუსტებელი მახასიათებელი, რომელიც მთლიანობას შეადგენს სარტიკულაციო ადვილის მიხედვით მახასიათებელთან ერთად; ჩვეულებრივ გამოიყოფა ენის სამი არე: წინა, შუა და უკანა ნაწილები; ამისდა მიხედვით ბგერები იყოფიან წინაენისმიერებად (აპიკალურებად), შუაენისმიერებად (პალატალურებად) და უკანაენისმიერებად (ველარულებად).

<sup>9</sup> ეს არის წარმოქმნის ადვილის მიხედვით ასიმილაციის მაგალითი: un pan [ˈumˈpa<sup>n̠</sup> ɲ].

<sup>10</sup> ეს არის წარმოქმნის ხერხის მიხედვით ასიმილაციის მაგალითი: son sosos [ˈso s̠ˈsoso<sup>s̠</sup> ɲ].

[m] – თანხმოვანი, კბილბაგისმიერი ბგერა; არტიკულირდება  
[f] – ს წინ – un feo, infeliz, enfermo.

[i] – ნახევარხმოვანი ბგერა; რეალიზდება დიფთონგში<sup>11</sup>,  
ხმოვნის შემდეგ – fumáis, coméis, paisano.

### ლექსიკა

- fumar *I* – მოწევა (*I* უღლების ზმნა)
- comer *II* – ჭამა (*II* უღლების ზმნა)
- son – 3 პ. მრ. რ. ზმნიდან *ser* – ყოფნა
- nene *m* – პატარა ბიჭი
- nena *f* – პატარა გოგო
- enano *m* – ჯუჯა
- enana *f* – ჯუჯა
- mano *f* – ხელი
- pan *m* – პური
- manso *adj* – წყნარი
- un – მამრ. სქ. მხ. რ. განუსაზღვრელი არტიკლი
- una – მდედრ. სქ. მხ. რ. განუსაზღვრელი არტიკლი

### აწმყო დროში ზმნების უღლების პარადიგმა

#### *fumar* – *I* უღლების ზმნა

მხ. რ.

მრ. რ.

- |                             |  |
|-----------------------------|--|
| I პირი fumo – მე ვეწევი     | I პირი – fumamos – ჩვენ ვეწევით                  |
| II პირი fumas – შენ ეწევი   | II პირი – fumáis – თქვენ ეწევით                  |
| III პირი – fuma – ის ეწევა, | III პირი – fuman – ისინი ეწევიან<br>თქვენ ეწევით |


---

<sup>11</sup> ესპანურ ენაში დიფთონგები – ეს არის ხმოვნების *i*, *u*-ს ერთმანეთთან ან სხვა ხმოვნებთან შეერთება, რომლებიც წარმოითქვიან ერთ მარცვლად ერთი სიტყვის ფარგლებში (*coméis*).

**comer – II უღლებების ზმნა**

მხ. რ.		მრ. რ.
I პირი como – მე ვჭამ		I პირი – comemos – ჩვენ ვჭამთ
II პირი comes – შენ ჭამ		II პირი – coméis – თქვენ ჭამთ
III პირი – come – ის ჭამს,		III პირი – comen – ისინი ჭამენ
თქვენ ჭამთ		

**ფონეტიკური სავარჯიშოები:**



**ლიქსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები**

1. Una nena, una mesa, una casa, una osa, una enana, una mano.

Un nene, un esposo, un oso, un pan, un piso, un mapa.

2. Una nena-unas nenas
- una mesa – unas mesas
- una casa – unas casas
- una osa – unas osas
- una enana – unas enanas
- una mano – unas manos
- un nene – unos nenes
- un esposo – unos esposos

un oso – unos osos  
un pan – unos panes  
un piso – unos pisos  
un mapa \_ unos mapas

3. ¿Qué es? – es una mesa.  
¿Qué es? – Es una casa.  
¿Qué es? – Es una mano.  
¿Qué es? – Es un piso.  
¿Qué es? – Es un mapa.

4. *მიაქციეთ ყურადღება ორმაგ უარყოფას:*

¿Es fea su nena? – No, su nena no es fea.  
¿Es feo su nene? – No, su nene no es feo.

¿Es feo su nene? – Un poco  
¿Es soso su queso? – Un poco.  
¿Es fea su esposa? – Un poco  
¿Es sosa su sopa? – Un poco.

5. Ese nene es enano. Esoḡ neneḡ son enanoḡ.  
Ese piso es un poco feo. Esos pisos son un poco feos.  
Ese piso es feo. Esos pisos son feos.  
Ese mapa es feo . Esos mapas son feos.  
Ese queso es un poco soso. Esos quesos son un poco sosos.

Esa sopa es sosa. Esas sopas son sosas.  
Esa cama es fea. Esas camas son feas.  
